# ფილიპე „კეთილის“ „ხოხბის ნადიმი“ და არშემდგარი ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობა კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად

**ლევან ჯანჯღავა**
ისტორიის მაგისტრი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი,
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი**

„ჯვაროსნული ლაშქრის“ დეფინიციის ცვლილება 1291 წლიდან, ანუ წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ომების დასრულების შემდეგ დაიწყო. მიუხედავად იმისა „ჯვაროსნული ლაშქრის“ ინტერპრეტაცია არ შეცვლილა, იგი დარჩა როგორც: ევროპის ქრისტიანული ალიანსი აღმოსავლეთის სარაცენთა წინააღმდეგ. „ჯვაროსნული ლაშქამა“ XV საუკუნეში ახალი სახელი, „ანტიოსმალური ალიანსი“ მოირგო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ჯვაროსნული ლაშქარი“ გამოიყენებოდა თითქმის ყველა ანტი-მუსლიმური კამპანიების დასახასიათებლად, 1291 წლის შემდეგაც.

როდესაც კონსტანტინოპოლი დაეცა ევროპა აშკარად შეშფოთებული უყურებდა ოსმალეთის აღზევებას. ჰორიზონტზე მეჰმეთ ფატიჰის იმპერია მოჩანდა. ევროპა არანირად არ იყო მზად ახალი კაიზერ-ი რუმის წინააღმდეგ ლაშქრობას, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ რომ კონსტანტინოპოლის დაცემამდე მხოლოდ რამოდენიმე თვით ადრე დამთავრდა ას წლიანი ომი.

მხოლოდ ბურგუნდიის ჰერცოგმა, ფილიპე III კეთილმა გადადგა ეს გულადი ნაბიჯი. კონსტანტინოპოლის დაცემიდან რამოდენიმე კვირაში მან მის გამორჩეულად საყვარელ ლილის სასა-

ხლეში გამართა ნადიმი. ნადიმს, რომელსაც სახელად „ხოხბის ნადიმი“ ეწოდა, ასზე მეტი სტუმარი ეწვია. სტუმრები თავადები და ევროპული ჯარების მაღალი რანგის წევები იყვნენ. სტუმრების დიდი ნაწილი კი ფილიპეს ოქროს საწმისის ორდენის წევრები იყვნენ.

ხოხბის ნადიმი გამოიჩევა იმით რომ იმ საღამოს, ფილიპმა ფიცი დადო რომ იგი ყველაფერს იზამდა რათა კონსტანტინოპოლი და შემდეგ იერუსალიმი გაენთავისუფლებინა მუსლიმთაგან.

მიუხედავად მისი უდიდესი ძალისხმევისა და მცდელობისა, ფილიპმა ევროპა ვერ დაიყოლია. იგი გარდაიცვალა შიშით, რომ მას ღმერთი განსჯიდა რათა მან ვერ მოახერხა კონსტანტინოპოლის დაბრუნება.

**საძიებო სიტყვები:** ფილიპე კეთილი; ხოხბის ნადიმი; ჯვაროსნული ლაშქარი; ანტი-ოსმალური ალიანსი; მეჰმეთ II; ოქროს საწმისის ორდენი.

**შესავალი**

ფილიპე III კეთილის ხოხბის ნადიმზე ბევრი არ არის ცნობილი, განსაკითრებით ქართულ ენაზე. კონსტანტინოპოლის დაცემით ევროპას ოსმალეთის სახით ახალი თავსატეხი გამოუჩნდა. მიუხედავად XV საუკუნის წყაროებისა, სადაც შეიძლება შეგვხვდეს არაერთი ევროპელი მონარქის აღწერა, თუ როგორ გულადად დახვდა იგი რომის აღმოსავლეთ იმპერიის დაცემას და ოსმალეთის გაბატონებას აღმოსავლეთ ევროპაში, სინამდვილეში, მხოლოდ ერთი, ბურგუნდიის ჰერცოგი, ფილიპ კეთილი გვევლინება რეალურ უშიშარ ფიგურად, რომელმაც „გაბედა“ და მეჰმეთ II-ს წინააღმდეგ ევროპის გაერთიანება ისურვა. მაგრამ ამაოდ. მიუხედავად ფილიპეს მონდომებისა, ევროპის არცერთ გეგმაში არ შედიოდა ახალი მუსლიმი ძალის წინააღმდეგ ლაშქარი.

**მეთოდი**

სტატიაში გამოყენებულია წყაროების კომპილაცია რათა რაც შეიძელბა ახლოდან შევისწავლოთ ხოხბის ნადიმის მიზანი და

ფილიპ კეთილის ანტი-ოსმალური კოალიციის შექმნის მოტივაცია.

**შედეგები**

მიუხედავად იმისა რომ ჯერჯერობით მხოლოდ რამოდენიმე წყარო იქნა შესწავლილი. პილიპე კეთილის ანტი-ოსმალური სენტიმენტის კიდევ უფრო სიღრმისეული შესწავლა არის შესაძლებელი. ამ ფენომენზე ქართულ ენაზე ყურადღების გამახვილება საჭირო რამ არის, რადგან სრულიად შესაძლებელია რომ ზუსტად ქართულმა ისტორიოგრაფიულმა საზოგადებამ აღმოაჩინოს და დააკავშიროს ის ინფორმაცია რომელიც ჯერ კიდევ არ დაუკავშირებია დასავლურ ისტორიოგრაფიას ფილიპე კეთილზე.

**დისკუსია**

ჯვაროსნული ლაშქრობების პოლიტიკა ძალზედ კომპლექსური საკითხია. 1095 წელს, პაპი ურბან II-ის (1089-1099) კლერმონის საეკლესიო კრებაზე სიტყვით გამოსვლამ და მისივე „წმინდა სიტყვით“ პირველი ჯვაროსნული ომის გამოცხადებას ერეტიკოსთა წინააღმდეგ, ორ საუკუნოვანი, უზარმაზარი და იმ დროისათვის, გლობალური მნიშვნელობის პოლიტიკური თამაშის წარმოქმნა მოჰყვა.

შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ იერუსალიმის სახელს თუ ექნებოდა სიტყვა „მშვიდობასთან“ რაიმე კავშირი. ამ პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ სისხლი თუ მორწყავდა ლევანტის მშრალ ნიადაგზე ამოსულ ყვავილებს.

ცხადია, რომ ჯვაროსნების მოწინააღმდეგე მუსლიმები ქრისტიანიების მიერ ერეტიკოსებად იყვნენ მოხსენიებულნი და ამ ტერმინის მორგება არაერთ ხალიფატს თუ სასულტნოს მოუწია. ერეტიკოსების სახელი ქრისტიანებმა პირველ რიგში სელჩუკებსა და ფატიმიანთა წარმომადგენლებს უწოდეს, ხოლო შემდეგ, ეს წოდება, აიუბიანთა დინასტიის მესვეურებს ხვდათ წილად. სწორედ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ შედგა ევროპული ჯვაროსნული ცხრა ლაშქრობიდან ხუთი.

მერვე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, რომელიც 1270 წელს მოეწყო, ევროპელები ლევანტს ცოტახნით დააშორა და ისინი ხმელთაშუა ზვის გადაღმა, მაღრიბში, ბერბერელი ჰაფსიდების წინა-

აღმდეგ გაალაშქრა. „ერეტიკოსი“ ჰაფსიდების დამარცხება ევროპელებმა ვერ მოახერხეს, მაგრამ მათი გეგმა სისრულეში ოსმალებმა სამი საუკუნის თავზე მოიყვანეს.

წმინდა მიწისათვის ჯვარსნული ომის ბოლო მოწინააღმდეგე ერეტიკული ძალა, აიუბიდთა სასულტნოს ფერფლიდან დაბადებული ეგვიპტის მამლუქების სახელმწიფო (1250-1517) აღმოჩნდა, რომელიც არამარტო დაუმარცხებელი, არამედ ლევანტში ჯვაროსნების ბოლო მეტოქე აღმჩნდა.

მამლუქთა მიერ 1291 წელს აკრას აღებითა და ქრისტიანების იმ ტერიტორიებიდან განდევნით, ჯვაროსნულმა ლაშქრობამ დაკარგა თავისი წონა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოურ წყაროებში მოხსენიებული სიტყა - ინგლისურად „Crusade“ და ფრანგულად „Croisade“ წმინდა მიწისათვის მოლაშქრე ჯვაროსნული კამპანიებისაგან ძალზედ განსხვავდება. როგორც ვახსენეთ, ტერმინი „ჯვაროსანული ლაშქარი“ აკრას დაცემის შემდეგ ექსკლუზიურად ევროპის კონტინენტზე, რომის პაპების მიერ რეგიონალური კონფლიქტების გადასაწყვეტად შექმნილი სამხედრო ალიანსების ზედმეტსახელი გახდა.

წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ომების წარუმატებლობების მიუხედავად, ევროპელებმა კვლავ განაგრძეს ბრძოლა მუსლიმთა წინააღმდეგ. ევროპელთა ლაშქარი უკვე აღარ ატარებდა კლასიკურ „ჯვაროსნულ“ იერსახეს. მათ მაინც მოუხდათ ძველ მტერთან მამლუქებთან ბრძოლა, როგორც ასევე ანატოლიურ ბეილიქებთან, როგორბიც იყვნენ ქარასისა და აიდინის ბეილიქები. ამ თემებს არ შევეხებით.

აღსანიშნავია, რომ 1299/1300 წელს, ევროპის აღმოსავლეთ ჰორიზონტზე, ახალი მოწინააღმდეგე, ოსმალეთი გამოჩნდა, რომელმაც არა მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიები შთანთქა არამედ, ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, კონსტანტინოპოლის ქალაქ-სახელმწიფოდ აქცია. XIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ქრისტიანულ ევროპას დიდი ხანია ერეტიკოსთა წინააღმდეგ ლაშქრობა არ გამოუცხადებია. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპას მოუწია ძველ და შედარებით ახალ მტერთან ბრძოლა, მაგრამ სიმართელს ვერ გავექცევით, ჯვაროსნული ომის ეპოქა უკვე წარსულს იყო მიბარებული.

ევროპის სახელმწიფოები სარაცინთა წინააღმდეგ მრავალი წელია არ გაერთიანებულან.

ბურგუნდიელი ჰერცოგის, ფილიპე III „კეთილის“ (1419-1467) ძალისხმევით, ტერმინი „ჯვაროსნული ომი“ გადაიქცა „ანტიოსმალურ ალიანსად“. ფილიპე კეთლის ძალისხმევამ ევროპას დაანახა, რომ ოსმალებთან ომი გარდაუვალი იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ XIV საუკუნის ევროპა დაყოფილია ოჯახურ და პოლიტიკურ სფეროებად. იმ დროს, სიტყვა „ჯვაროსნული“ რაიმე მნიშვნელოვანს აღარ ნიშნავდა. ოსმალები აღმოსავლეთ ჰორიზონტზე ბალკანეთის ნახევარკუნძულს იპყრობდნენ და მის მეზობელ სახელმწიფოებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ. ამ დროს, სხვა თუ არავინ, ფილიპე კეთილი, უძლიერესი ბურგუნდიის საჰერცოგოს მთავარი, მისი ცხოვრების ბოლო წლებს ევროპის ანტიოსმალური სენტიმენტის ამაღლებაში ატარებს.

1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, განადგურდა ბიზანტიის იმპერია და მასთან ერთად ევროპის აღმოსავლეთი კარიბჭე. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად ოსმალეთი კონსტანტინოპოლის დაცემამდე უკვე ფლობდა ევროპაში ტერიტორიებს, ქალაქის აღებით, მათ ერთი რამ დაამტკიცეს, რომ ახლა ისინი ევროპასთან ისე ახლოს იყვნენ როგორც არასდროს.

ჩვენთვის, კონსტანტინოპოლის დაცემიდან ცხრა თვის თავზე, ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლილში მომხდარი ეპიზოდი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. კონსტანტინოპოლის დაცემამ, რა თქმა უნდა, ევროპა არამარტო შეაშფოთა, არამედ რეალურად დაანახა, რომ ადრე თუ გვიან ახალ ძალასთან, ოსმალებთან, მოუწევდათ ომი. კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის დაბრუნების პოლიტიკის ღრმა მორწმუნედ ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპ III კეთილი გამოვიდა ისტორიის ავანსცენაზე.

ფილიპე კეთილის ანტიოსმალურ სენტიმენტს მხოლოდ ევროპული თავდაცვითი სტრატეგიის იერსახე არ ჰქონია. ფილიპეს ოსმალებთან პერსონალური დავა ჰქონდა, რომელიც ჰერცოგის დაბადების წელს, მამამისს, ჟან I „უშიშს“ (1404-1419) გადახდა.

1396 წელს, ჯვაროსნული ძალა, რომელშიც ევროპის თითქმის ყოველი ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენლობა შედიოდა, ოსმალებთან ნიკოპოლის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ. მიუხედავად ბაიაზიდ I-ს (1389-1402) ჯარის დიდი დანაკარგისა, ჯვაროსნულმა ალიანსმა გაცილებით მძიმე დანაკარგი განიცადა, მრავალი ევროპელი ტყვედ ჩავარდა. მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს კერძოდ ერთ ტყვეს, ფილიპე კეთილის მამას, ჟან I „უშიშს“ (sans peur), რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ნიკოპოლის სისხლიან ბრძოლაში მოიპოვა მისი ზედმეტსახელი, ბაიაზიდს მაინც ჩაუვარდა ტყვედ. აღსანიშნავია ისიც, რომ მის ზედმეტსახელთან ერთად ჟან „უშიში“ დღემდე კრიტიკის სუბიექტია, რადგან მისმა დაუგეგმავმა და იმპროვიზირებულმა სტრატეგიებმა, საბოლოოდ მისივე ჯარების განადგურება გამოიწვია.

ნიკოპოლის ბრძოლა არამარტო ჯვაროსნული ალიანსის კრახით, არამედ ოსმალების განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ჯვაროსნული ალიანსის კრახი მდგომარეობდა იმაში, რომ ჯარის იმ უმცირესობისგან განსხვავებით, ვინც ცოცხლები გადაურჩნენ ბრძოლას, ტყვედ იყვნვევ აყვანილნი. ტყვეთა შორის სამი ათასამდე ქრისტიანი ოსმალებმა დასაჯეს სიკვდილით. ტყვეთა შორის ბურგუნდიის მომავალი ჰერცოგი და ფილიპე კეთილის მამა ჟან „უშიშიც“ იყო. ჟანი ბაიაზიდ I-ს პირად ტყვედ ჩავარდა. მიუხედავად დამარცხებული ბურგუნდიისა და ევროპის დაჟინებული მოთხოვნებისა, ბაიაზიდის მიერ ჟანის განთავისუფლება მხოლოდ მამის, ფილიპე II „გულადის“ (1363-1404) მიერ უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდის შემდეგ მოხერხდა. ბაიაზიდის მიერ ჟანის დამცირების ეპიზოდს კიდევ ერთხელ შევეხებით.

1454 წლის 17 თებერვალს, ფილიპე მის რჩეულ „ლილის სასახლეში“ დიდ ნადიმს მართავს და ეპატიჟება იმ თავადებს, რომლებიც მხარს დაუჭერენ ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ახალ იდეას. ეს ნადიმი ცნობილია როგორც „Vœu du faisan“, ქართულად „ხოხბის ნადიმი“. ამ უკანასკნელს აგრეთვე მეორე სახელით - „ხოხბის ფიცის ბანკეტით“ - იცნობენ. ფილიპეს მიერ მოწყობილ ამ ნადიმს ფრანგული ისტორიულ-ლიტერ-

ატურული დატვირთვა აქვს, რადგან იგი „ჩიტის ფიცის“ სახეს იღებდა, ტრადიცია რომელიც XIV-ე საუკუნის საფრანგეთში გავრეცელებული იყო. თავადების მიერ ფილიპეს წინაში ფიცის დადების სიმბოლიკა კი - ხოხობი გახდა (Lafort une-Martel, 1984: 15, 39).

ნადიმი ძალზედ ექსტრავაგანტული იყო. აღსანიშნავია, რომ ფილიპე ხელოვნებისა და კულტურის მოყვარული ჰერცოგი გახლდათ, „ხოხბის ნადიმმა“ კი მისი თეატრალური მრავალ-ფეროვნება უფრო სიღრმისეულად გაგვაცნო. ნადიმზე გაიმართა წარმოდგენა და მსახიობი, რომელიც წმინდა ეკლესიის პერსონიფიკაციას წარმოადგენდა, ჰერცოგსა და მის სტუმრებს ევედრებოდა გადაერჩინა წმინდა მიწა და ეხსნა კონსტანტინოპოლი სარაცინებისაგან (იგულისხმებიან ოსმალები). კოსტუმირებული ფიგურა ციხესიმაგრეში იყო გამოკეტილი, რომელიც ხის სპილოს ზურგზე იყო შემოდებული, სპილოს კი წინ გიგანტი სარაცინი მიუძღოდა. როგორც ინტერაქტიული თეატრი, ფილიპე და დამსწრეები ეკლესიის პერსონიფიკაციას დაპირდნენ, რომ წმინდა ეკლესიას სარაცინებისაგან გაანთავისუფლებდნენ (Lafortune-Martel, 1984: 111-113).

წყაროები მიგვითითებენ, რომ ფილიპეს სურდა მის მიერ წამოწყებული ჯვაროსნული ლაშქრობა სარაცინთა წინააღმდეგ დამსგავსებოდა იასონის მითს. ფილიპეს ეს მოსაზრება თანხმობაში მოდის ისტორიულ ფაქტოლოგიასთან, რადგან 1430 წელს მან ოქროს საწმისის ორდენი დააარსა, სადაც შედიოდნენ რჩეული კარისკაცები, თავადები, პრივილეგირებული ჯარის კაპიტნები და ა.შ.

„ხოხბის ნადიმს“, რა თქმა უნდა, ასევე ესწრებოდნენ ოქროს საწმისის ორდენის წარმომადგენლებიც, რომლებიც შეადგენდნენ ფილიპეს ნადიმის ასამდე სტუმარს. არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად ძალზედ თავდადებული სენტიმენტისა, ფილიპესთან ერთად დარაზმულიყვნენ ოსმალების წინააღმდეგ, იყვნენ ერთეულები, რომელთა სახელებიც უცნობია, ვინც ორჭოფობდნენ ფილიპეს კამპანიის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ მაინც, ნადიმზე, ფილიპემ მაგიდაზე მოყვანილ ხოხობზე დაიფიცა რომ იგი ოსმალების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის წამოსაწყებად

ყველაფერს იღონებდა, რასაც ნადიმის სხვა წევრთა ერთხმიერი თანხმობა მოჰყვა (Vaughan, 1970: 297).

ფილიპეს ჯვაროსნულ გეგმას, მხოლოდ „ხოხბის ნადიმის“ წევრები არ უჭერდნენ მხარს. მის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერად საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი, ფრიდრიხ III (1452-1493), გვევლინება, რომელმაც 1454 წლის გაზაფხულზე ფილიპე რეგენსბურგში, იმპერიულ კრებაზე მიიწვია ჯვაროსნულ მოტივაციებზე სასაუბროდ. მიუხედავად ფილიპეს აღტაცებებისა, მისი რეგენსბურგში ჩასვლისას გაირკვა, რომ იმპერატორი, რომელმაც ფილიპე დაიბარა, რეგენსბურგში არ აღმოჩნდა, რამაც რა თქმა უნდა, ფილიპეს იქ ჩასვლა უმიზეზო გახადა და არანაირი საუბარი ჯვაროსნულ ლაშქრობაზე არ მომხდარა (Vaughan, 1970: 358-9).

ფილიპემ ანტიოსმალური ლაშქრის შეკრება რეგენსბურგიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა. 1454-59 წლებში ფელიპე სადაც შეძლებდა ყველგან ანტიოსმალური ლაშქრობის იდეას ლობირებდა. 1455 წელს თითქოსდა ფილიპე უკვე მზად იყო მისი გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად, როდესაც მისმა მტერმა, საფრანგეთის მეფე შარლ VII ვალუამ (1429-1461) დართო ფილიპეს ნება ფრანგი მოქალაქეების რეკრუტირებაზე, მისივე ბურგუნდიული ლაშქრისათვის.

მიუხედავად ამისა, ფილიპეს გეგმა შეანელა პაპ ნიკოლოზ V-ის (1447-1455) სიკვდილმა, მაგრამ, ჰერცოგისთვის საბედნიეროდ, ახალი პეპი - კალიქსტ III (1455-1458) ჯვაროსნული ლაშქრობის მხარდამჭერი აღმოჩნდა. ევროპულმა და კერძოდ ფრანკო-ბურგუნდიულმა შიდა პოლიტიკურმა გართულებებმა კვაროსნული ლაშქრის გეგმა დროებით გვერდზე გადადო (Vaughan, 1970: 366).

ფილიპეს ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გამოცხადების მონდომება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე საჯარო ინფორმაცია იყო, პირველი არ ყოფილა. ფილიპე მისივე დაარსებულ „ოქროს საწმისის“ ორდენის წევრთა შორისაც არ იშურებდა სიტყვებს, რათა გამოეხატა მისი ემოცია, როგორც წმინდა ეკლესიის დამცავი და ოსმალების დამმამარცხებელი ჰერცოგი.

მაგრამ ბოლოს, მისი მონდომების ამბავი თვით ოსმალეთის სულტან მეჰმედ II-ს (1444-1446 / 1451-1481) მიუვიდა. 1455 წელს ოცდაოთხი წლის მეჰმედმა, სამოცი წლის ფილიპეს ულტიმატუმის მაგივრად წერილი გაუგზავნა, სადაც იგი ბურგუნდიელ ჰერცოგს პირობას აძლევს, რომ თუ იგი გაილაშქრებდა ოსმალეთის წინააღმდეგ, მასაც იგივე ბედი დაადგებოდა, რაც მის მამასა და წინა ბურგუნდიელ ჰერცოგს ჟან „უშიშს“, ნიკოპოლის ბრძოლის დროს. როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, 1396 წელს, ნიკოპოლის ბრძოლისას, მეჰმედის დიდმა ბაბუამ, სულტან ბეიაზიდ I-მა ჟანი ტყვედ ჩაიგდო. ჟანის განთავისუფლება მხოლოდ გამოსასყიდის გადახდის შემდეგ მოხდა. აღსანიშნავია რომ, მეჰმედი ფილიპეს „შენობით“ მიმართავს და მისივე წერილში თავს არა როგორც ოსმალეთის სულტანს, არამედ როგორც *„ალექსანდრესა და ჰექტორის შთამომავალ, ბაბილონის სულთან და ტროას მეფეს....“* მოიხსენიებს. მისი თავის დახასიათება წერილში რამოდენიმე ხაზს იკავებს (Die Chroniken der fränkischen Städte, Nürnberg, 1872: 212-213).

საინტერესოა თუ რამდენად შეანელა მეჰმედის ასეთმა პერსონალურმა წერილმა ბურგუნდიული ლაშქრის განვითარება, რადგან აშკარად ჩანს, რომ 1455 წელს ფილიპე ჯერ კიდევ მოლაპარაკებების და ლობირების პროცესში იყო, მათ შორის ალფონსო V „არაგონელთანაც“ (1416-1458). 1456 წლის ივლისში კალიქსტ III-მ ფილიპეს, რომელიც მაშინ ჰააგაში იმყოფებოდა, ჯვაროსნული ალამი გაუგზავნა. ამ ძღვენით, პაპმა ფაქტობრივად ჰერცოგს შეახსენა ჯვაროსნული ლაშქრობის დიდი მისია (Vaughan, 1970: 367).

1458 წელს კალიქსტ III გარდაიცვალა და მის ადგილი პიუს II-მ (1458-1464) დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მე-XV საუკუნეში მოღვაწე არც ერთ პაპს არ უცდია ჯვაროსნული ლაშქრის წამოწყება ისე, როგორც ეს უნდოდა პიუს II-ს.

იმისათვის რომ ევროპის წამყვანი ძალები პაპს შეხვედროდნენ და ესაუბრათ მომავალ ჯვაროსნულ ლაშქარზე, პიუს II-მ 1459 წელს მანტუაში კრება მოიწვია. მაგრამ როგოც რეგენსბურგში, მანტუას კრებაც, 1460 წელს, კრახით დამთავრდა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოები არა მთავრებს, არამედ ელჩებს აგზა-

ვნიდნენ მანტუაში, თვით ფილიპეც კი არ დასწრებია კრებას. ერთი რამ ცხადი იყო, იმ ელჩებიდან ვინც პაპს მანტუაში ეწვ-ივნენ, აცნობეს რომ მათ სახელმწიფოებს ჯვაროსნულ ლაშქრ-ობაში თითქმის არანაირი სურვილი არ ჰქონდათ. საბოლოოდ, კრება დამთავრდა არაფრისმთქმელი წინადადებით, რომლითაც პაპმა ოსმალებს ომი გამოუცხადა (Vaughan, 1970: 216).

ამას მეჰმედ სულტანმა კიდევ ერთი წერილით უპასუხა. წერი-ლში იგი აღწერდა, რომ რომს იგივენაირად მოექცეოდა, როგორც კონსტანტინოპოლს. და ყველაზე საინტერესო, მეჰმედის წერი-ლში ასევე ხაზგასმით ეწერა, რომ იგი ღმერთის დახმარებით ბურგუნდიის ჰერცოგს მისივე ქალაქში მოაჭრიდა თავს (Leroux De Lincy, 1857: 49).

მანტუამ დაგვანახა, რომ სინამდვილეში, ფილიპეს ანტიოსმა-ლურმა გამოსვლამ ვერ გაამართლა. ფილიპე ცხოვრების ბოლ-ომდე ცდილობდა ეს ლაშქარი აღემართა, მაგრამ გავიდა დრო და 1464 წელს ფილიპეს ბოლო იმედი პიუს II გარდაიცვალა. თვით ფილიპე კი 1467 წელს გარდაიცვალა, ისე რომ მან კონსტანტინო-პოლისა და იერუსალიმის „განთავისუფლება“ ვერასდროს შემ-ლო. ამბობენ, რომ მისი ცხოვრების ბოლო წლებში იგი ღმერთს ტირილით ევედრებოდა, რომ შეენდო მისთვის, რადგან მან მისი წმინდა მისია ვერ შეასრულა.

მიუხედავად ყველაფრისა, ევროპელებსა და ოსმალებს შორის მრავალწლიანი კონფლიქტი მაინც დაიწყო. ევროპელები ბოლოს მაინც გაერთიანდნენ ოსმალების წინააღმდეგ, რამაც ევროპაში ანტიოსმალური კამპანიები წარმოქმნა, რომელიც XVII საუკუ-ნეში დიდ თურქულ ომში გადაიზარდა.

**დასკვნა**

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვა ჯვაროსნული XIV საუკუნის დასაწყისიდან უკვე აღარაფერ მნიშვნელოვანს არ ნიშნავდა. ფილიპე გრძელ თურქულ ომს ვერ მოესწრო, მაგრამ ჩვენი აზრით, მან მოახერხა და ევროპის ანტიოსმალურ გამოღვიძებაში დიდი როლი ითამაშა.

საინტერესო იქნებოდა, თუ როგორი სცენარი გათამაშდებოდა ფილიპეს რომ შესძლებოდა „ხოხბის ნადიმის“ თეატრალური შესრულების რეალობაში მოყვანა. რაც არ უნდა მოხდეს, ისტო-

რიამ ეს პატარა ეპიზოდი მხოლოდ რამოდენიმე მემატიანის ჩანაწერებით შემოგვინახა. ასე გადაიქცა ტერმინი „ჯვაროსნული ომი“, „ანტიოსმალურ ალიანსად“. ფაქტი ისიც იყო, რომ 1337-1453 წლებში მიმდინარე „ას წლიანმა“ ომმა ევროპის ძლიერი სახელმწიფოები დააუძლურა, რამაც ოსმალეთის იმპერიის დამპყრობლური ინტერესები კიდევ უფრო გაამლიერა დასუსტებული ქრისტიანული მიწებისაკენ და ვინც ამის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, ისინი არა დიდი სამეფოები, არამედ პატარა საჰერცოგოები, ქალაქ-სახელმწიფოები და აღმოსავლეთ ევროპის სამეფოები აღმოჩნდნენ. რაც შეეხება ბურგუნდიელი ჰერცოგის ანტიოსმალურ ლაშქრობას, საინტერესო იქნებოდა ეს რწმენა სხვებსაც რომ გაეთვალისწინებინათ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ოსმალების დამარცხება. შესაძლოა კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული.

**ბიბლიოგრაფია:**


Caron, M. (2003). *Les vœux du faisan, noblesse en fête, esprit de croisade*. Turnhout, Belgium: Brepols;

*Die Chroniken der fränkischen Städte, Nürnberg*. (1872). Leipzieg;

Escouchy, M. (1863). *Chronique de Mathieu D'Escouchy*. Paris;

Huizinga, J. (1919). *The autumn of the Middle Ages*;

Lafortune-Martel, A. (1984). *Fête noble en Bourgogne au XVe siècle*. Montréal: Bellarmin;

Leroux De Lincy, A. (1857). *Chants historiques et populaires du temps de Charles VII et de Louis XI*. Paris: Aubry;

Smith, R. and DeVries, K. (2005). *The artillery of the Dukes of Burgundy, 1363-1477*. Woodbridge, Suffolk: The Boydell Press;

Vaughan, R. (1970). *Philip the Good*. Longmans.

# Philip the Good, Feast of the Pheasant and the failed plan to launch a crusade to retake Constantinople

**Levan Janjgava**
M.A History
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Department of Modern and Contemporary History
Tbilisi, Georgia

**Abstract**

The definition of the Crusades have experienced a change since the crusades of the holy land 1095-1291. The very interpretation of what the crusades were never changed in principle, a holy alliance of the European Christianity against the Saracen of the east. Nevertheless, there is a significant gap between the Crusades and the Anti-Ottoman Alliance. It has become obvious that the crusades have been used as an umbrella term even for the post-1291 campaigns against the Muslim states.

As Constantinople fell, the European powers remained in awe. 1453 not only saw the fall of the Eastern Roman Empire but the end of the Hundred Years' War. With Europe fresh out of a conflict of their own, not many were keen on living up to their Crusading past. A new enemy was on the horizon, the Ottoman. Mehmed Fatih had proven to Europe that he was no mere conquering Muslim like those that Europe had previously faced. Mostly all in Europe feared confrontation with the new Kayser-i Rum. All but one, Philip the Good, Duke of Burgundy. A Valois of tremendous power and influence found himself at the helm lobbying a campaign against the Conqueror Sultan and retake Constantinople and even Jerusalem.

Only weeks after the fall of Constantinople, Philip the Good hosted a feast in his favored castle Lille, attended by some hundred lords and high army officials, out of which many were members of Philips' own Order, the Order of the Golden Fleece. The feast came to be known as

the “Feast of the Pheasant” and marks the beginning of Philips arduous quest to unite Europe against a common enemy.

Philips’ quest was riddled with disappointments however. Not only did he receive direct threats from Mehmed II upon hearing of Philip’s plan to retake Constantinople, but his closest allies who initially lent their words that they would join or facilitate Philip’s cause, either pulled out or died.

In the end, Philip died never amounting to a Crusade against the Ottomans. He died pleasing to god that he could forgive him for his inability to carry out his holy mission. Nevertheless, although he died never going into a battle against the Ottoman, his plan played a role in transforming the Crusades into an Anti-Ottoman Alliance, which many know, began the new epoch of European-Ottoman wars.

**Keywords:** Philip the Good; Feast of the Pheasant; Crusades; Anti-Ottoman Alliance; Mehmed II; Order of the Golden Fleece.